საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წლიწადი მესამე

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა" ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 150,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახაბლის ქუჩა, № 4
ტელეფონი 10—84.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კ. [illegible]
4 — 15 [illegible]
სამგლოვიარო [illegible]
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონც.
4 — 1 მ. —

№ 576 ოთხშაბათი, სექტემბრის 19 **1923 წ.** ყოველდღიური გაზეთი ფასი **200,000**

გაზეთი „ტრიბუნა"

ენკენისთვის 15-დან ღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად	4.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო პირთათვის	5 000.000 „
ცალკე ნომერი	200.000 „

მნიშვნელოვანი მოვლენა.

ტფილისში, საქართველოს დედა ქალაქში 7 ნოემბერს გაიხსნება საკავშირო ალმასკომის სესია. ეს მოვლენა უეჭველად მნიშვნელოვანია, მას აქვს დიდი პოლიტიკური ღირებულება.

ნაციონალური პოლიტიკის სფერო თუ ცარიზმის ეპოქაში რუსიფიკატორული ტენდენციით ხასიათდება, თუ საქართველო მიჩნეული იყო ისეთ ქვეყანად, სადაც არ შეიძლებოდა არც უმაღლესი სასწავლებლის, არც ქარხნის, არც ერობის შემოღება, დღეს რადიკალურ ცვლილებების წინაშე ვდგევართ.

ტფილისში სესიის გახსნა უეჭველად იმ ფაქტის დემონსტრაციაა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში არ არსებობს მეტნაკლებობა ერთა უფლებების, რომ ყველა მათგანი სრული ხმითა და სრული ნება-უფლებით არიან აღჭურვილი. ამ შემთხვევაში დიდი ზღვარი არ არსებობს მოსკოვსა და ტფილისს შორის.

თუ კრემლი, ისტორიის ნებით, იქცა რევოლუციონერთა შტაბათ, ვორონცოვთა და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სასახლე ტფილისში ქცეულა ქართველი მშრომელის სასახლეთ, რომელიც 7 ნოემბერს მიიღებს ძვირფას სტუმრებს მოსკოვიდან, რომ ერთად იმსჯელონ საერთო ოჯახის მოვლა-პატრონობისათვის.

რევოლუციონური პეტროგრად-მოსკოვი გზავნის რევოლუციის ხელმძღვანელებს, საბჭოთა რესპუბლიკების უმაღლეს ორგანოს მთელ შემადგენლობას, რომ ძმური კავშირით ყველა რესპუბლიკებისა და ნდობით, ყოფილ კოლონიალურ ქვეყანაში იმსჯელონ ყოველგვარი მონობის ლიკვიდაციისათვის.

ბევრს აშინებს, თავ-ბრუს უხვამს და აფრთხობს შეცდომანი და უსწორო ნაბიჯები ზოგიერთ შემთხვევებში. ჩვენც არა ერთხელ მიგვიქცევია ხელისუფლების ყურადღება ამ შეცდომებისკენ, რადგან ყოველი შეცდომა ღრღნის რევოლუციონურ მოძრაობას, მაგრამ ჩვენთვის ყოველთვის ცხადი ყოფილა და არის, რომ მხოლოდ რევოლუციას შეუძლია ერთა განთავისუფლება საერთოდ და საქართველოს აღორძინებაც კერძოდ. ქართველი ხალხი უკვე ხედავს, რომ ბატონის თვალით დღეს ვერავინ შესძლებს შემოხედვას.

მე-19 საუკუნის რუსეთი, რუსეთი რეაქციის, რომელიც სულს გვიხუთავდა სამუდამოდ მოკვდა ყველა თავისი ატრიბუტებით! მე-20 საუკუნის რუსეთი, რუსეთი რევოლუციით სცოცხლობს და შეგნებულად იგი არ დაუშვებს ნაციონალურ ჩაგვრა-შევიწროებას.

ამ მოვლენის ერთ-ერთი ილუსტრაციაა ჩვენს დედა ქალაქში საკავშირო ალმასკომის სესიის გახსნა. ეს დღე მნიშვნელოვანი იქნება ჩვენს ისტორიაში.

დღიური

— საბერძნეთი ემზადება ფალერნოს ცერემონიისათვის.

— საბერძნეთმა ბოდიში უკვე მოიხადა მოკავშირეთა რწმუნებულების წინაშე.

— ჩინეთის მიერ რუსეთის დე-იურეთ ცნობის საკითხი განხილული იქნება რუსეთ-ჩინეთის კონფერენციაზედ.

— ინდოეთში დაითხოვეს საკანონმდებლო კრება.

— საფრანგეთის რადიკალები მოითხოვენ რურის ევაკუაციას.

— გერმანიაში მოორდორფის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია შეუერთდა კომპარტიას.

— საფრანგეთი რურში ბარიკადებს აწყობს.

— სორაუში მოხდა შეტაკება პოლიციასთან.

— ამერიკა წ ნადადებას იძლევა მოწვეულ იქმნეს ახალი კონფერენცია განიარაღების საკითხის განსახილველად.

ტელეგ-დეპეშები

ზაკროსტას ცნობები 15 სექტემბრიდან

იტალიეთ-საბერძნეთის კონფლიქტი.

ათინიდან ლონდონში მიღებულ ცნობებით საბერძნეთის ფლოტი ემზადება ფალერნოს ცერემონიისათვის, რომელიც უნდა შესდგეს ოთხშაბათს. საბერძნეთის ფლოტი ფალერნოსთან მოულოდინებს მოკავშირეთა გემებს.

ლონდონში მიღებულ ცნობებით, ალბანეთის მთავრობამ მიმართა საბერძნეთს ნოტით, რომელშიაც თხოულობს იტალიეთის სამხედრო მისიასთან მივლინებულ ალბანეთის თარჯიმანის მკვლელების დასჯას და ფულად ანაზღაურებას მოკლულის ნათესავებისათვის. რაოდენობას ფულისას გამოარკვევს ალბანეთის მთავრობა. საბერძნეთმა უპასუხა, რომ დამნაშავეთა დასასჯელად ყოველი ზომა იქნება მიღებული და ამასთანავე იგი პრინციპიალურად თანახმა არის ანაზღაურებაზედ.

„დეილი მეილის" ცნობით საბერძნეთის მზადება კონფერენციის დადგენილების შესასრულებლად დამთავრებულია. საბერძნეთის სამხედრო მინისტრმა სამშაბათს დილით მოკავშირეთა წარმომადგენლებს ათინაში გამოუცხადა მთავრობის მწუხარება მკვლელობის გამო.

სადარბაზოდ პირველად მივიდა იტალიეთის წარმომადგენელთან, ხოლო შემდეგ საფრანგეთისა და ინგლისის წარმომადგენლებთან. ქვეითი ჯარის 2 გუნდი იგზავნება საბერძნეთის ხალმოსნებზედ მოკლულთა გვამებისათვის სამხედრო პატივისცემის მისაცემად და გვამის გასაცილებლად.

ინგლისის პრესა აღნიშნავს, რომ კორფუს საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტა ხდება „ერთა ლიგის" გავლენით. „დეილი ქრონიკლში" ლოიდ—ჯორჯი იწუნებს ლორდ სესილის პოზიციას „ერთა ლიგაში" და აღნიშნავს, რომ სესილი თავის თავზედ ისეთ მოვალეობას იღებდა, რომელსაც ინგლისი ვერ შეასრულებდა, ხოლო ეს კი დასცემდა ინგლისის პრესტიჟს

კორფუდან ბორდოში მიღებულ ცნობებით, იტალიეთის მოხელეებმა კორფუზედ მიიღეს განკარგულება დაბრუნდნენ იტალიეთში. საბერძნეთის პოლიცია ამყარებს წესრიგს.

გაზეთი „ეპოქა" საფრანგეთის წინააღმდეგობას კონფლიქტის „ერთა ლიგაში" გადაცემის საკითხში ხსნის იმ გარემოებით, რომ მას ეშინოდა ამით არ შექმნილიყო პრეცედენტი, რომლის საფუძვლითაც შესაძლებელი იქნებოდა საფრანგეთ გერმანეთის კონფლიქტის ლიგაში გადაცემის მოთხოვნა.

გერმანიის ამბები

პარიზი. პუანკარემ თავის უკანასკნელ სიტყვაში განაცხადა, რომ საფრანგეთი მოითხოვს ვერსალის ხელშეკრულების შესრულებას, ურომლისოდაც საფრანგეთის უშიშროება წარმოუდგენელია. ამ ხელშეკრულებით, გერმანიის სესხის რაოდენობის და მის გადახდის წესის გამორკვევა დაკანონებული აქვს საკონტრიბუციო კომისიას, და კომისიისათვის ანგარიშის გაუწევლობას საფრანგეთი ვერ დაუშვებს. საფრანგეთის ხელში მყოფ გარანტიებს იგი შეინარჩუნებს იმ დრომდე, ვიდრე არ მიიღებს გერმანიისაგან სრულს დაკმაყოფილებას.

ლონდონი. აქაურ წრეებში ფიქრობენ, რომ პუანკარეს სიტყვამ სრულიად გაფანტა ბერლინის იმედები, ვითომც საფრანგეთი მიიღებდა შტრეზემანის წინადადებას. ასეთივე გულგატეხილობა უნდა მოხდეს რეინლანდშიაც, რადგანაც პუანკარეს სიტყვა არ იძლევა საფუძველს, რომ იმედი გვქონდეს ამ საკითხის მალე გადაწყვეტისა.

პარიზი. ბრიუსელიდან მიღებულ ცნობებით კნოკესთან დაიჭირეს ჰაეროპლანი 3,500 მილიარდი მარკით, რომელიც გადადებული იყო, ალბად, პასიურ წინააღმდეგობისათვის.

პარიზი. მაინციდან მიღებულ ცნობებით რეინლანდსა და ოკუპაციისაგან თავისუფალ გერმანიის შორის მიმოსვლა აღდგენილია.

ლონდონი. საფრანგეთის პრესამ გამოსთქვა, რომ შტრეზემანის წინადადება საფრანგეთისათვის რურის განთავისუფლებლად გერმანიის წარმოების 30 პროც. მიცემის შესახებ, ვერ აკმაყოფილებს საფრანგეთს. გერმანიის კაბინეთზედ ამ ცნობამ მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, რადგანაც მას სხვა წინადადება აღარა აქვს.

ლონდონი. ნიუ კესტლში (ინგლისი) წარმოთქმულ სიტყვაში გენდერსონმა აღნიშნა მუშათა პარტიის ძირითადი პრინციპები საგარეო პოლიტიკაში. მოკავშირეებმა უნდა სრულიად გაანთავისუფლონ გერმანია და აღადგინონ მისი სუვერენიტეტი. სარეპარაციო საკითხს საფუძვლად უნდა დაედოს 1919 წ. დროებითი მშვიდობიანობის წინამორბედი შეთანხმება. გერმანიამ უნდა დაიჭიროს ძველი ადგილი დიდ სახელმწიფოთა შორის.

გენდერსონი მოითხოვდა აგრეთვე საბჭოთა მთავრობის სრულს ცნობას.

ბერლინი. „ბერლინერ ცეიტუნგში" დაბეჭდილია სარწმუნო წყაროებიდან მიღებული გერმანიის მთავრობის პროექტი რურის კონფლიქტის ლიკვიდაციისათვის. პროექტი შეიცავს ორს პერიოდს: პირველ პერიოდის განმავლობაში გერმანია იღებს რურის ოლქის გამგებლობის უფლებას, ხოლო ფრანგები იქ ისევ რჩებიან და გერმანიის უფლებების აღდგენა გამოიხატება მხოლოდ რურის ოლქსა და დანარჩენ გერმანიას შორის თავისუფალი მიმოსვლით და რკინის გზებზედ სუვერენიტეტის აღდგენით. რკინის გზები სპირდება განზრახულ საკრედიტო ოპერაციებისათვის. რურის ევაკუაცია იწყება მეორე პერიოდში, მაშინვე თავისუფლდებიან გერმანიის მოქალაქენი, ოკუპაციის დროს დატუსაღებულნი.

ბერლინი. გერმანიის რეიხსტაგის ეკონომიურ კომისიის სხდომაზე გილფერდინგმა მოითხოვა პასიურ წინააღმდეგობისათვის ხარჯების შეწყვეტა, ხოლო ამასთანავე გააფრთხილა საფრანგეთი არ მოითხოვს ამ ხარჯების ერთბაშად შეწყვეტა, რადგანაც ამას შეუძლიან მღელვარების გამოწვევა.

პარიზი. საფრანგეთში პუანკარეს მოწინააღმდეგენი აღნიშნავენ პასიურ წინააღმდეგობის ფაქტიურ შეწყვეტას. რადიკალები პუანკარეს ურჩევენ მოახდინოს რურის ევაკუაცია და დასთანხმდეს შტრეზემანის მიერ წარმოდგენილ საწინდარს.

მოსკოვი. კომინტერნის ცნობით, გერმანიაში მოორდორფის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია შეუერთდა გერმანიის კომუნისტურ პარტიას. ახალ ორგანიზაციის დამფუძნებელ კრებას რუსეთის მუშათა სახელით მიესალმა გემ „კამოს" რუსი მეზღვაური. მიღებულ რეზოლიუციაში ორგანიზაცია პირდება მთელი თავისი ენერგია მიაპყროს გერმანიაში მუშური რესპუბლიკის შექმნისაკენ.

ბერლინი. ტიურინგიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გამოაქვეყნა ცნობა, სადაც იგი სთანხმდება კომუნისტებთან მოლაპარაკებას შეთანხმებული პროგრამის გამოსამუშავებლად. მოსალაპარაკებლად არჩეულია სპეციალური კომისია.

ბერლინი. შტრეზემანის მთავრობის უნიადაგობის გამო, ჰესსენის სოციალ დემოკრატიული პარტია მოითხოვს სოციალ-დემოკრატების გამოსვლას მთავრობილან.

ბერლინი. გერმანიამ განაცხადა იტალიეთისათვის ნახშირის მიწოდება საკონტრიბუციო გადასახადების ანგარიშში.

ბერლინი. საფრანგეთის კომპარტიის ორგანოს „ჰუმანიტე"-ს ცნობით რურის სხვილ ქარხნებში და რკინის გზის ხაზზედ ფრანგები აწყობენ ბარიკადებს. ეს სამზადისი მოასწავებს ახალ გართულებას.

ბერლინი. სორაუში—საწარმოო ქალაქი ბერლინიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ—მოხდა დიდი მღელვარება. დაიწყო იქიდან, რომ დემონსტრანტ მუშებმა მოითხოვეს პოლიციის მოშორება, რაზედაც მათ უარი მიიღეს. შეტაკების შემდეგ არიან დაჭრილ-დახოცილები.

მუშათა მოძრაობა

პარიზი. დორტმუნდში (გერმანია) „უნიონის" ქარხნის გაფიცულ მუშათა და პოლიციის შორის მოხდა შეტაკება. მოკლულია 2 მუშა, დაჭრილია 7. მუშების ცდამ გაემართათ საპროტესტო მანიფესტაცია ნაყოფი ვერ გამოიღო—მანიფესტაცია პოლიციამ გაფანტა.

ფიუმეს საკითხი

ვენა. სამხრეთ-სლავიამ და იტალიეთმა შეთანხმებით გადასცეს „ერთა ლიგას" რაპალოსა და სანტა-მარგარიტას ხელშეკრულებები, რეგისტრაციისა და გამოსაქვეყნებლად. ეს აქტი ნიშნავს, რომ ორივე სახელმწიფოს შორის ფიუმეს საკითხში მოხდა შეთანხმება.

ვენა. გაზეთი „მესსადჟერო" იუწყება, რომ ერთა ლიგაში ხელშეკრულების გადაცემასთან ერთად, მუსოლინიმ სამხრეთ-სლავიის ელჩს რომში გადასცა ახალი წინადადება ფიუმეს შესახებ, რომლითაც დელტა და პორტი ბაროში უნდა წარმოადგენდნენ ერთ ადმინისტრატიულ ერთეულს. მუსოლინი მოითხოვს კონსორციუმს, რაც ფაქტიურად გადაცემულ ხელშეკრულების გაუქმებას ნიშნავს.

ლონდონი. სალონიკიდან მიღებულ ცნობებით, ფრაკიის საზღვარზედ ბოლგარელების მოქმედება ცხოველდება, რასაც ხსნიან ფიუმეს საკითხის გამოურკვევლობით.

ბერლინი. ფიუმეს გუბერნატორი დეფელი გადადგა, მის მაგიერ იტალიეთმა დანიშნა გენერალი ჯარდინო, რომელსაც დიქტატორული უფლებები მიეცა, საკითხის გამორკვევამდე.

რომი. ფიუმეს გამგე დროებითი კომისია გადადგა, საკითხის გამოურკვევლობის გამო.

ს. ს. რ. ა. ცნობის გარეშე

ბერლინი. ლოზანაში მოხდა ნაფიც მსაჯულთა არჩევნები ვოროვსკის მკვლელის—კონრადის გასასამართლებლად. არჩეულია 31 კაცი, რომელთა შორისაც არიან არხიტექტორები, კომერსანტები, გლეხები, მუშები და მოხელეები. საქმის გარჩევა დაიწყება 5 ნოემბერს.

მოსკოვი. „როსტას" თანამშრომელთან საუბარში ამხ. კრასინმა განაცხადა, რომ შვეცია, მიუხედავად იმისა, რომ დიდი შეკვეთები მიიღო რუსეთისაგან, ცივად მოეპყრა ამ ორ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობის განვითარებას და არ წავიდა არავითარ დათმობაზედ და შეღავათების მოცემაზედ. ამავე დროს კი სხვა სახელმწიფოები გვიხსნიან კრედიტს, ფასს გვაძლევინებენ ნაწილ-ნაწილ და სხვა. შვეცია აქამდის ჯიუტობამ ს. ს. რ. კ. მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ შეამციროს თავისი შეკვეთა შვეციის ფირმებში, ხოლო შემდეგი ჯიუტობა—შვეციის მხრივ მიგვიყვანს სავაჭრო აპარატების შემცირებამდე შვეციაში და შეიძლება მათი სრულიად უკან გამოწვევამდე.

რიგა. (ლატვია). მოსკოვში წამოსულ ლატვიის ფინანსთა მინისტრს პუნგეს განზრახვა აქვს მოლაპარაკება დაიწყოს რუსეთის ხორბლის ლატვიაზედ გატანის შესახებ.

პეკინი. (ჩინეთი) ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ კარახანის რწმუნების სიგელების მიღებამ შეაშფოთა უცხოეთის იმპერიალისტები პეკინში. უცხოეთის კორესპონდენტების შეკითხვაზედ ნიშნავს ეს რუსეთის ცნობას, თუ არა, მინისტრმა განაცხადა, რომ ჩინეთი განაგრძობს რუსეთის ცნობას დე-ფაქტო, ხოლო დე-იურეთ ცნობის საკითხი განხილული იქნება რუსეთ ჩინეთის კონფერენციაზედაო.

მოსკოვი. საფრანგეთის მართველობას ძალით მიყავს კონსტანტინოპოლიდან ვრანგელის მიერ შავი ზღვიდან წაყვანილი რუსეთის გემები. ამის შესახებ ჩიჩერინმა საფრანგეთის მთავრობას გაუგზავნა პროტესტი. გარდა ამისა წინადადება მისცა ს. ს. რ. კ. წარმომადგენლებს ლონდონში და რომში მიმართონ მათ შესაფერ მთავრობებს პროტესტით საფრანგეთის მოქმედების მიმართ და მოითხოვონ, რათა ეს მთავრობები ჩაერივნენ საქმეში.

მოსკოვი. ფინეთმა ხელმეორედ წამოაყენა კარელის საკითხი. საპასუხო ნოტაში ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ ახალი ნოტა არავითარ ახალ არგუმენტს არ წარმოადგენს და გამოსთქვა იმედი, რომ ფინეთი ამის შემდეგ კარელიის საკითხს ჩასთვლის ამოწურულად.

ლონდონი. ლონდონის ბირჟაზედ რუსეთის საპროცენტო ქაღალდებს ემჩნევა მნიშვნელოვანი აწევა, რაიც აიხსნება კონტინენტზე, განსაკუთრებით საფრანგეთში, სხვილი სავაჭრო საქმეებით რუსეთის ქაღალდებით.

უცხოეთ

ოდესა. კონსტანტინოპოლის ევაკუაციის გამო, რუსის თეთრგვარდიელები საჩქაროდ მიემგზავრებიან იქიდან ამერიკასა და საფრანგეთში. ვიზას მათ აძლევს თეთრგვარდიელების წითელი ჯვარი და ამერიკის კომიტეტი.

ვრანგელის აგენტები „რუსეთის საელჩოში" რუსის ემიგრანტებს, რომელთაც კონსტანტინოპოლში დარჩენა არ სურთ, აძლევენ პასპორტებს.

ოდესა. რუსის მეზღვაურები კონსტანტინოპოლში უარს ამბობენ რუსის გემების მარსელსა და პირეიში წაყვანაზედ. და თხოულობენ ვიზას სამშობლოში დასაბრუნებლად. კონსტანტინოპოლში 20-ზედ მეტი რუსეთის გემია, რომელთაგან ბევრი დატუსაღებულია, რადგანაც საქმე მეზღვაურთა და რუსეთის „საზღვაო და სავაჭრო საზოგადოების" შორის გადაცემულია სასამართლოში კონსტანტინოპოლში უმუშევრობა ძლიერდება.

ჰანნოვერი. ინდოეთის მეფის ნაცვალმა ლორდ რიდინგმა დაითხოვა საკანონმდებლო კრება და ახალი არჩევნები დანიშნა დეკემბრისათვის.

ლონდონი. ესპანეთში მეფემ ხელი მოაწერა 3 დეკრეტს. რომლითაც დათხოვნილია პარლამენტი, ყველა პროვინციების გუბერნატორები გადაყენებულია და მათ ადგილს ინიშნებიან აფიცრები და მესამე—რომ სასტიკი ზომები იქნება მიღებული, ვისაც შენიშნავენ რესპუბლიკანურ, ან სეპარატისტულ პრაპაგანდაში.

სოციალისტებმა და პროფესიონალურ კავშირებმა მოწოდება გამოსცეს სამხედრო გადატრიალების წინააღმდეგ.

ლონდონი. პალესტინაში აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს ქ. ამხაკს და დასწყვიტეს ტელეგრაფისა და ტელეფონის მართულები.

ბერლინი. ბოლგარეთში, სოფიაში მოხდა მღელვარება, რისთვისაც დააპატიმრეს 30 კომუნისტი.

ლონდონი. ამერიკის მთავრობამ წინადადება მისცა ინგლისს, საფრანგეთს და იაპონიას მოიწვიონ ახალი კონფერენცია განიარაღების საკითხის განსახილველად.

პეკინი. იაპონიაში სწარმოებს კორეელების დევნა.

ახალი ამბები

— **პროლეტარულ მწერალთა კრება.** კვირას, 16 სექტ. ხელოვანთა სასახლეში მოხდა საქ. პროლეტ. მწერალთა კრება, რომელმაც ამოირჩია ახალი გამგეობა. საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ნაცვლად დაარსდა „საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირი“.

— **აქციების შეძენა.** ტფილისის აღმასკომმა დაადგინა შეიძინოს რუსეთის კომუნალურ მეურნეობათა დამზადებულ საქციო საზოგადოებისაგან 12 აქცია მათ რიცხვში ორ ორი წყალსადენის, ტრამვაის, სასაკლაოს, აბანოების, და ელექტრონის მომწესრიგებელ სამართველოს ანგარიშზე.

— **მუშების შეფობა სოფელზე.** თამბაქოს ქარხნის „პროლეტარი-ს“ მუშებმა მიიღეს შეფობა ყანდაურაზე. (ტფილისის მაზრა).

— **700 უმუშევერთა სამუშაოთ გაგზავნა.** ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურზე სამუშაოზე განზრახულია გაიგზავნოს 700 უმუშევარი.

— **ადგილკომების ხელახალი არჩევნები.** ტფილ. უბნის რკ. გზ. პროფკავშირის მიერ დადგენილია ხელახალი არჩევნები ადგილკომებისა და პროფრწმუნებულისა.

— **პროცენტებისაგან განთავისუფლება.** კინო თეატრების ადგილკომების შუამდგომლობა რათა 17 სექტ. კინო-სეანსებში, რომლის შემოსავალი მოხმარდება ადგილკომის დროშის შეძენას, განთავისუფლებული იქნას ქალაქის სასარგებლოთ დაწესებულ გადასახადისაგან აღმასკომმა დააკმაყოფილა.

— **ტყიბულის ქვა-ნახშირი.** ივლისის განმავლობაში ტყიბულში ამოღებულია 243,223 ფუთი ქვა ნახშირი ადგილობრივ დაიხარჯა და საზღვარგარეთ გაიგზავნა 24,974 ფუთი.

— **თამბაქოს ტრესტი.** თამბაქოს ტრესტის ბორდონის ქარხანამ ივლისში დაამზადა 843 კოლოფი. რომლის ღირებულება უდრის 70 ჩერვონეცს.

— **სპილენძის ქარხანა.** აღდგენილი იქნა სპილენძის ქარხანა, რომლის მუშაობა შეჩერებული იყო ნედლი მასალის უქონლობის გამო. ამ ჟამად ქარხანა ამზადებს რკინის გზისათვის მეტად საჭირო მასალას.

— **გადასახადის აკრეფა სამხრეთ ოსეთში.** სახ. სასურსათო კომ. ცნობით სამხრეთ ოსეთში გადასახადის სახით აკრეფილია 668 ფ. ხორბალი, 7,864,405 მან. ა-კ. ბონებით.

— **გადასახადის აკრეფა ჩერვონცებით.** სასურსათო კომისარიატის დადგენილებით სასურსათო გადასახადის აკრეფა შეიძლება ჩერვონცებით, გადამხდელის სურვილის თანახმად.

— **საშუალო მედიკური სასწავლებელი.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა დაადგინა გახსნას ახალი სკოლა მედიკო-სანიტარულ მუშა-მოსამსახურეთათვის.

— **შრომის ბირჟა.** 17 სექტემბერს შრომის ბირჟაზე აღრიცხვაზე გამოცხადდა 755 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა 14 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა 59 უმუშ.

— **ბავშვის დახრჩობა.** 1-ლ სამილიციო რაიონში დილის 9 საათზე ეკატერინე ნიკოლოზის ასული ბროზელი-ნაუმენკო მცხ. წილკანის ქუჩ. № 12-ში მე-15-ე ელექტრონის სადგურის ეზოში თამაშობის დროს უეცრივ ჩავარდა აუზში და დაიხრჩო.

— **ქურდის შეპყრობა.** მე-12-ე სამილიციო რაიონში 15 სექტემბერს ღამის 1 საათზე შეპყრობილი იქნა მოქ. ნიკოლოზ შრამოვი, რომელსაც ქ. ტფილისის სადგურიდგან მოეპარავს სხვა და სხვა ნივთები ღირებული ერთ მილიარდ მანეთად. ნივთები ეკუთნოდა მოქ. თებრონე აგლაძეს, მცხ. ელისაბედის ქუჩ. № 33, რომელსაც მთელი ნივთები ჩაბარდა ხელწერილის ქვეშ.

— **ბინის გაქურდვა.** 1-ლ სამილიციო რაიონში 15 სექტ. სალ. 4 საათზე გაქურდული იქნა, მოქ. მარიამ ბოროზოვას ბინა, იზმაილოვის ქუჩ. № 5-ში, საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული 130 მილ. მან. ბოროტ-მოქმედი ჯერ-ჯერობით არ არის აღმოჩენილი.

— **ახალი საავადმყოფოს გახსნა.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა ქალ. თელავში გახსნა საავადმყოფო 20 საწოლით, სადაც ამ ცოტა ხანში ჩატარებულ იქნება 16 საიმედო ოპერაცია.

— **ქალის დაჭრა.** გუშინ, სექტემბრის 18, დილის 6 საათზე, მე-8 სამ. უბანში ახალი არსენალის ქ. № 24, მოქ. ი. ბუხარაშვილმა რომანიულს ნიადაგზე მძიმედ დასჭრა 17 წ. ქალი, ელენე კირიაჩენკო. ბოროტ-განზრახველი გაიქცა. მის შესაპყრობად მიღებულია ზომები.

— **ვალიუტის კურსი.** 18 სექტემბერი.

ჩერვონეცი	46,750,000 მ.
სტერლინგი ეფექ.	43,700,000 „
ჩეკი.	42,500,000 „
დოლარი ეფექ.	9,500,000 „
ჩეკი.	8,850,000 „
ოსმალური ლირა	6,100,000 „
საბჭოთა ფული	16,500 „

მუშათა ცხოვრება

მუშათა და გლეხთა მილიციის ცხოვრებიდგან

კვირას, 16 სექტემბერს, დილის 10—ნახ. საათზედ პროფკავშირთა დიდ დარბაზში გაიხსნა საერთო საზოგადო კრება მილიციელთა კავშირში ჩარიცხვის საკითხის გამოსარკვევათ.

დარბაზში სავსეა მილიციის თანამშრომლებით, ყველას ეტყობა სიხარული და აღფრთოვანება, ისმის ხმები „ბოლოს ჩვენც გვეღირსაო“.

ამხ. ატოევი კრებას გახსნილათ აცხადებს და კითხულობს დღის წესრიგს: პირველი—მილიციის კავშირში მიღება, მეორე—ერთი წარმომადგენელის არჩევა მიმღებ კომისიაში გასაგზავნათ, მესამე—მიმდინარე საკითხები.

მოკლე სიტყვით ესალმება დამსწრეთ ამხ. ატოევი და აცხადებს, რომ დღეიდგან მილიციელთა თანამშრომლები შედიან საბჭოთა მუშაკთა კავშირში. იგი უხსნის პროფესიონალურ კავშირის მნიშვნელობას და იძლევა ნათელ და მარტივ განმარტებას, თუ რატომ ასე დაგვიანებით შედიან მთლიან მუშაკთა ოჯახში მილიციელთა თანამშრომლები.

ამხ. ატოევმა აღნიშნა ეს დღე ისტორიულათ მილიციელთა ცხოვრებაში და გამოსთქვა იმედი, რომ დღეიდგან მილიციელნი, როგორც წითელი რაზმის ნაწილი, რომელსაც მიუძღვის დიდი ღვაწლი, მუშათა კლასის დაცვაში, გაორკეცებული ენერგიით იმუშავებს რევოლიუციის მონაპოვართა დაცვისათვის. დამსწრენი მხურვალე და ხანგრძლივი ტაშის ცემით აჯილდოვებენ მომხსენებელს.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. თაზიშვილმა, სუხარუკოვმა, ჯანიბახჩიევმა და სხვებმა, რამაც გამოიწვია ხანგრძლივი ტაშის ცემა.

ამხ. გასვიანის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება და მხურვალე ტაშის ცემა გამოიწვია დამსწრეთაგან, მან აღნიშნა მენშევიკების ბატონობის დრო და არსებული მაშინდელი პროფესიონალური კავშირი, რომელიც იყო მხოლოდ სახელით და თუ მის გაუმჯობესობაზედ და [illegible] იბრძოდნენ [illegible]ლათ კომუნისტები და განიცდიდნენ საშინელ დევნას, წვალებას და დაპატიმრებას.

დღეს, თავისი გასამართლებელი მიზეზებით, მართალია, ამბობს ამხ. გასვიანი, გვიანი დღეა ჩვენთვის, მაგრამ ბედნიერნი ვართ და ეს დღე უნდა ვიზეიმოთ, როგორც ისტორიული დღე.

წარმომადგენელათ მილიციელთა მხრივ მიმღებ კომისიის სამუშაოში ერთხმათ იყო არჩეული ამხ. გასვიანი.

კრება დაიხურა დღის 12—ნახ. საათზედ.

ვლ. მაჭარაშვილი.

პარტიაში

ოთხშაბათს, სექტემბრის 19, შესდგება მორიგი სხდომა ტფ. მე-2-ე სარაიონო კომიტეტის.

წევრებს ვთხოვთ აუცილებლად გამოცხადდნენ საღამოს 7 საათზე.

მდივანი.

დღეს, ენკენისთვის 19, საღამოს 7 საათზე, ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1) დანიშნულია მე-4 რაიკომის მორიგი სხდომა.

ვსთხოვ რაიკომების წევრებს სხდომაზე ნუ დაიგვიანებენ.

მე-4 რაიკომის მდივანი **აკ. სირაძე.**

საქართველოს მიდამოებში.

სამეცნიერო ექსპედიცია მყინვართწვერზე.

3. არაგვის ხეობით მთიულეთისკენ.

(დასასრული)

ოდესღაც ის „ადგილი მეტად კარგი იყო უკან—აყოლება ზედაზენის ქედი, ხშირის ტყით დაფარული, წინ-ველებზე დაცემული ვენახები, ვერცხლის ფერი არაგვი და მუხრანის ველი, ზემოდ—არაგვის ხეობა ლურჯ ნისლებში შაბურული სამხედრო გზით, ზევზევით კავკავის მთები…..

ეს იყო უმშვენიერესი, პოეტური, ჩუმი კუთხე, დაშორებული გზასა და სოფელს….

მაგრამ, ადევებული კაკლის ხეები აქაურობის უპირველეს სამკაულს შეადგენდენ. მათი ფართო—ფურცლოვან კარავს ქვეშ ჩუხჩუხებდა შადრევანი…

აქ გაისმოდა ქართველ პოეტებისა და საზოგადო მოღვაწეთა სიტყვები, ამ კაკლის ქვეშ ისხდენ ყველა პროფესიის წარმომადგენელნი,… ნატო გაბუნია, კოტე მესხი, განდეგილი, გრიშა აბაშიძე, რაფიელ ერისთავი, დავით ერისთავი, ეკატერინე გაბაშვილი, ნიკო ხაზანაშვილი (ურბნელი), გიგო ყიფშიძე, გოგებაშვილი ,ხახანაშვილი, ვაჟა-ფშაველა ვალიკო გუნია, ელისაბედ ჩერქეზიშვილისა და მრავალი სხვა აქ ატარებდენ დროს და სტკბებოდენ ამ კუთხის სიმშვენიერით…

საგურამოს სახლებში, დიდი ხანია, რაც სიწყნარეა და სიცარიელე, მაგრამ 19 საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურასა და საზოგადოებრივს ცხოვრებაში ეს კუნჭული თამაშობდა უდიდეს როლს და მისი მოგონება სამუდამოთ შეერთებულია საქართველოს ახალს გონებრივ ცხოვრებასთან“.

ასე გადმოგვცემს თავის მოგონებებში საგურამოს შესახებ ცნობილი ქართველთ მეგობარი, გერმანელი მწერალი არტურ ლეისტი. (იხ. მის წიგნი „საქართველოს გული“ გვ. 53—56. „საგურამო“.)

სამხედრო ქართულ გზით მიმავალმა, შეუძლებელია არ შეამჩნიო საგურამოს, რომელიც ნათლად მოსჩანს უბრალო თვალითაც და შეუძლებელია მის გამცქერალი არ წარმოიდგინო, როგორც არტურ ლეისტი ამბობს, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მწერალ-მოღვაწეთა მთელი პლეიადა. სწორედ ამის გამოც ჩვენც შევჩერდით საგურამოზედ.

ჩვენი მავალა შეჩერდა წყაროსთან, საიდანაც იწყება უკვე აღმართი თვით დუშეთის მიდამოებამდის. აღმართით მივდივართ ორი საათის განმავლო-

ჩვენი პასუხი სეით დევდარიანს „ღია წერილზე“

„ჩვენ დიდი სიამოვნებით წავიკითხეთ ყოფილი ამხანაგის, სეით დევდარიანის წერილი და ასეთივე სიამოვნებით ვუპასუხებთ მას.

ეს წერილი დამახასიათებელია იმითი, რომ ს. დევდარიანი გაურბის პოლიტიკური კითხვების დაყენებას, მათ გაშუქებას, შექმნილ მდგომარეობის ღრმა ანალიზს და აყენებს მხოლოდ ფორმალურ კითხვებს პარტიის არსებობა—არ არსებობის შესახებ.

ეს წერილი დამახასიათებელია იმითაც, რომ თვით მენშევიკური „ცენტრალურ კომიტეტშიაც აღმოჩნდა ისეთი პირი, რომელმაც ვერ აუხვია გვერდი ამ დღეებში მომხდარ სოც.-დემოკრატ. ყრილობას და აღიარა, რომ 12 ათასმა წევრმა სრული ნების ყოფით გამოიცვალა აზრიო. მაგრამ სეით დევდარიანი გაურბის ამ გზის ანალიზს, ის არ აყენებს სხვა გზას, ის მხოლოდ გვირჩევს შევუდგეთ მასთან ერთად საქმიან იდეურ ძიებას. *)

აშკარაა, „დანიაში ყველაფერი არ ყოფილა რიგზე“. თუ ცეკას ერთი სულის ჩამდგმელთაგანი დღეს გამოდის და აშკარად აცხადებს, რომ საჭიროა „იდეური საქმიანი ძიება“, აშკარაა ისიც არ თანაუგრძნობს ცეკას ხაზს, მასაც გასტეხია გული ცეკას ხაზში და საერთოდ მენშევიკური პარტიის ტაქტიკაში.

„რევიზიონიზმმა“, ძველი გზის გადათვალიერების საჭიროებამ აშკარაა იჩინა თავი იმ წრეებშიაც, რომლებიც იყვნენ ამ ძველი გზის სულის ჩამდგმელები. ეს აშკარა დამამტკიცებელია იმისი, რომ ძველი გზა მართლაც გამოუდეგარი ყოფილა და სამართლიანად მოქცეულა ის 12 ათასი წევრი, რომლებმაც უარჰყვეს ძველი გზა. ამ გზას უარყოფს სეით დევდარიანიც, თუ გულწრფელია მისი განცხადება „იდეურ საქმიან ძიების“ შესახებ.

ჩვენ არ გამოუდგებით აქ ლაპარაკს იმაზე, ექნება თუ არა საკმაო პოლიტიკური და მორალური გავლენა არაყოფილ მენშევიკებზე ყრილობის დადგენილებას. თუ სეით დევდარიანი გულწრფელად და მიუდგომლად შეაფასებს ამ ყრილობას, ის დაინახავს, რომ ამ ყრილობაზე არა მარტო საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ჯგუფებზე, არამედ თვით მეორე ინტერნაციონალზედაც ექნება შესაფერი გავლენა. სახუმრო საქმე ხომ არაა, როცა პარტიის უმრავლესობა უცვლის მთელი ათეული წლების განმავლობაში მიღებულ მიმართულებას. ასეთ მოვლენას ჩვენ ვხედავთ გერმანიაშიაც; სადაც ათასობით მუშები დგებიან კოპარტიის დროშის ქვეშ. ჩვენ ვამაყობთ მით, რომ სოციალდემოკრატების საუკეთესო ნაწილები დგებიან კომინტერნის დროშის ქვეშ.

არ ხართ თქვენ მართალი, როცა ამბობთ, რომ პარტიიდან გავიდნენ სწორედ ისინი, რომლებსაც ბურჟუაზიული ინტერვენციის იმედი ჰქონდათ. არა. პარტიის ხაზი უარყვეს იმათ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდენ დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმთან კავშირს, რომლებიც გაცილებით მარცხნივ იდგნენ და ამბობდნენ, რომ მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოებთან კავშირს შეუძლიან საქართველოს დამოუკიდებლობის გამაგრებაო. და თუ ვინმე იმედ მოტყუებულმა ინტერვენციონისტმა დასტოვა პარტია, ის არც თქვენთანაა და ჩვენთან კი არასოდეს. როდესაც თქვენ ლაპარაკობთ პოლიტიკურ სინდისზე, გვითხარით, რომელი სინდისით ხელმძღვანელობთ, როცა ასეთ ბრალდებას სრულიად დაუსაბუთებლად უყენებთ 12 ათას მუშას?

ამ ყრილობაზე ჩვენ დავინახეთ პარტიის 11.250 წევრის მანდატი. აქ იყო წარმოდგენილი მთელი ჩვენი ყოფილი პარტია, აქ იყო მთელი აქტივი სოც.-დემოკრატიის, მოწინავე მუშები, ძველი პარტიის წევრები, ძველი მებრძოლი გლეხები და სხვა ას კაცს ყოველთვის შეუძლიან გადგეს განზე, დაარსოს პარტია, იქონიოს ცენტრალური ორგანო და სხვა, მაგრამ ეს იქნებოდა აშკარა საბუთი იმისა, რომ ამ უმცირესობას ჯერ კიდევ ვერ აუღია სწორი ალღო პოლიტიკური მდგომარეობისთვის, ის კიდევ ვერ ამოსულა ძველი ჭაობიდან, ის ჯერ კიდევ შეიძლება მისდაუნებურად დგას ბარიკადების იქით და ებრძვის რევოლიუციას, რევოლიუციონურ პროლეტარიატს, აკეთებს შავ საქმეს. ყოველ შემთხვევაში ეს უმეტესობა მოშორდა პარტიასა და არა პარტია მოშორდა მას და მას არ შეუძლია წარმოიდგინოს პარტია. ესაა ისეთი ჯგუფი, როგორც თუნდაც „სხიველების“ ჯგუფი, რომელსაც რაღაც მიზეზების გამო არ მიმართავს სეით დევდარიანი საერთო გზის საძებნელათ. ასეთ სექტას, ცხადია, არ აქვს უფლება ილაპარაკოს პარტიის სახელით.

25—31 აგვისტოს ჩვენში მოხდა დიდი პოლიტიკური აქტი. ამ აქტს უნდა სერიოზული ჩაკვირვება და აქედან სერიოზული დასკვნების გამოტანა.

არ შეიძლება მისი მიფუჩეჩება როგორც ამას ზოგიერთები შვრებიან, და ფორმალური საკითხის წამოყენება—დაპირისპირება ამ დიად აქტისადმი.

ვინ ხელმძღვანელობს დღეს ამ დარჩენილ ასსა და თუნდაც ორას კაცს. ა. რუხაძეს არ უთქვამს თავის მოხსენებაში, თითქო 1922 წელს პარტიას დაშლილათ გამოეცხადებიოს ხელმძღვანელი ორგანოები; მან სთქვა, რომ 1921 წ. აპრილის 10-ს, როცა ჩვენ გვქონდა პარტიული ყრილობა სახელმწიფო ოპერის თეატრში, ბათომიდან დაბრუნების შემდეგ, მაშინ იყო ნათქვამი პარტიული ორგანოების დაშლის შესახებო.

მეორეთ, ვინ აირჩია ცეკა. თქვენ ამბობთ, რომ 1922 წელს თებერვალში მოხდა არალეგარული პარტიული კონფერენცია, რომელმაც დაავალა ძველ ცეკას ხელმძღვანელობაო ჯერ ერთი, რომ ეს კონფერენცია სრულიად არ იყო მთელი პარტიის, წევრთა უმრავლესობამ არაფერი იცის ეხლაც კი; მეორე—ძველი ცეკა კაი ხანია ფაქტიურადაც არ არსებობს, გამოვიდნენ იქიდან თევზაია, ფარნიევი, მიკირტუმოვი, აღარ არიან აქ ჟორდანია, რამიშვილი და სხვები.

მოკვდა სილიბისტრო ჯიბლაძე. ვინღაა ეხლა ამ ძველ ცეკაში? ორიოდე პირი. და განა შეიძლება ამ ორიოდე პირმა იმოქმედოს პარტიის სახელით? ეს ხომ დიდი უზურპატორობაა? და ამ უზურპატორებს შესაფერი პასუხი გასცა ამ დღეებში დასრულებულმა ყრილობამ“.

„პასუხი“ აღნიშნავს, რომ მასა არ ცდება დიდხნობით, რომ ისტორიამ გაამართლა დიქტატურის გზა, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბოლშევიკების დაცემა იქნებოდა რეაქციის გამარჯვება და განაგრძობს:

„მართალია, ყველა ქვეყანას აქვს თავისი კერძო საკითხი. მაგრამ თუ რუსეთის რევოლიუცია დაიღუპა, ნუ დაგავიწყდება, საქართველოს საკითხიც დასამარდება მაშინ. საქართველოსაც მოელის მაშინ საშინელი რეაქციის მძიმე უღელი, რომლისაგან ვერ გვიხსნის ვერც ევროპის იმპერიალისტები, და ვერც ჩვენი კეთილი სურვილები საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის უბედურება აუცილებლად იქონიებს თავის საშინელ გავლენას საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზეც. ეს უნდა გვახსოვდეს ყველას. თქვენ თუ გაინტერესებთ საქართველოს საკითხი, უნდა იცოდეთ, რომ დამოუკიდებლობის უფლებას მას არ მისცემს არც კადეტური რუსეთი და არც ცარიზმის რუსეთი.

საქართველოს თვით გეოგრაფიული მდებარეობა ისეთია, რომ მას არც ერთი ბურჟუაზიული, არც ერთი იმპერიალისტური ქვეყანა, რომელსაც აქვს გასავლელი გზა ჩვენში, არ მოასვენებს, ისე, როგორც აქამდე არ ასვენებდა მას. მისი არსებობა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოებთან მჭიდრო კავშირში, პროლეტარიატის ბატონობის დროშის ქვეშ, ამ პროლეტარიატის სიძლიერის, გამაგრების პირობებში.

ამიტომ საქართველოს საკითხს ჩვენ ამ საერთაშორისო საკითხიდან ვერ გამოვყოფთ.

ჩვენ ვფიქრობთ, თქვენ არ ხართ საქმის სრულ კურსში, როცა ამბობთ, რომ საქართველოს მოელის კოლონიათ გადაქცევაო.

ჩვენ ვფიქრობთ, და ამაში ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა დღეს უფრო მაგარია, ჩვენი სახელმწიფოებრივი უფლებები დღეს უფრო მტკიცეა, ვიდრე ეს იყო ოდესმე.

---

*) ჩვენი ორგანო გამოვა რამოდენიმე დღის შემდეგ, მაგრამ ვინაიდან ჩვენ გვინდა არ დაგვიანდეს ჩვენი პასუხი, ამიტომ როგორც ამ ღია წერილს, ისე ჩვენ პასუხსაც ვაქვეყნებთ გაზ. „კომუნისტ“-ში და ვთხოვთ ყველა გაზეთებს გადაბეჭდონ. რასაკვირველია, როგორც წერილი, აგრეთვე პასუხიც დაბეჭდილი იქნება ჩვენ ორგანოშიც.

საინიციატივო ბიურო.

ბაში. მარცხნით გამოჩნდა ბაზალეთის ტბა. ასე ორი—სამი ვერსით მოცილებული სამხედრო გზას; ლურჯად მოსჩანს ბაზალეთის ტბა მის ლამაზ და მშვენიერ მიდამოებით. ტბის ირგვლივ უფრო მეტი სიმწვანეა, მეტი სიცოცხლე, ვიდრე უფრო მოცილებული მისგან. ამას აშკარად ამჩნევთ მიმავალი სამხედრო ქართული გზით. რაღაც იდუმალობაა ირგვლივ, სისპეტაკე. მზის სხივები შესაფერისად ანათებს ბაზალეთის ტბის მიდამოებს.

ხალხის თქმულება, ვითომ ბაზალეთის ტბა ცრემლია ერისა. სავსებით შეესაბამება მის იდუმალობას, მის სიწყნარეს, მის სილამაზეს.

ხალხის თქმულება ბაზალეთის ტბის შესახებ ილიასაც აქვს გადმოცემული თავის ლექსში „ბაზალეთის ტბა“.

ბაზალეთის ტბა ატკბობს მუდმივ თვისი სინაზით საუკუნეთა განმავლობაში მრავალ მოგზაურს. ჩვენც ამისთანავე გრძნობებით ვიცქირებოდით ბაზალეთის ტბისაკენ და ვერც შევამჩნიეთ, როგორ დავეშვით დუშეთისაკენ, რომელიც ქვემოთ მარჯვნით სამხედრო გზას ორი ვერსით დაცილებული, გადაშლილია კოხტად და მცირე ადგილიც უკავია. არაგვის ხეობა, რომელიც ჩვენ მანამდის მოგვეფარა, უკვე მოსჩანს ქვემოთ დუშეთის მარჯვნით და თვით სამხედრო გზაც არაგვს დაცილებულია ვიდრე ანანურამდე.

ამინდი ისეთი მშვენიერი იდგა და დუშეთის გაშლილი არე-მარე ისე ლამაზად გამოიყურებოდა, რომ შევაჩერეთ მავალა და პროფესორ დიდებულიძემ გადაიღო სურათი.

დავეშვით სადგურისაკენ, რომლის გვერდით ამართულია ჩრდილელის სასახლე, აწ უპატრონოდ მიგდებული; მხოლოდ მის ირგვლივ დიდი უზარმაზარი ხეები იზიარებენ მის მარტოობას. დუშეთის სადგურთან ვიყავით ნაშუადღევის სამის ნახევარ საათზე.

ცოტაოდენ შესვენების შემდეგ მავალა კვლავ დაიძრა და აიღო გეზი აღმართით, რომლის ასვლისას სოფელ ქერანამდის, მავალა დაღმართით დაეშვა, სადაც ხეების ჩრდილს სიო ჩვენ სიამოვნებით მივილეთ. მაგრამ აქ იწყება უკვე სამხედრო გზის გაფუჭებული ადგილები, რომლის მიმართულებითაც სათანადო მუშაობა სწარმოებს. მივდივართ ნელა. მავალა ხან მარცხნით გადადის, ხან მარჯვნით. მიიზლაზნებოდა ამგვარად ჩვენი მავალა. მაგრამ ერთ ადგილს იძულებული ვიყავით შეგვეჩერებინა იგი. საქმე იმაში იყო, რომ ანანურით მიმავალი ფქვილით დატვირთული მავალა შეხვედრია დუშეთით მიმავალს ფიცრებით დატვირთულ მავალას სწორედ იმ ადგილას, სადაც გზა ძლიერ ცუდია და როდესაც ერთი მეორეს მისცეს გზა, ორივე ჩაიფლო ჯერ კიდევ წვიმიან ატალახებულ გზაში. ხელად გადმოვხტით მავალიდან. ექსპედიციის წევრები ვიყავით 18 კაცი. განვტვირთეთ ფქვილიდან მავალა, მეორე ფიცრებიდან, რომელიც შეუყენეთ გაუწყეთ გაფუჭებულ გზაზე წინ მავალას; ამუშავდა მოტორი. მივაწექით ყველანი უკან და გვერდებიდან და ამოვათრიეთ მავალა. შემდეგ ფიცრებზე ნელ-ნელა გადავიყვანეთ ჩვენ მავალა, რის შემდეგ ჯაჭვით ამოთრეულ იქნა მეორე მავალაც. მოვრჩით რა ჩვენს საქმეს, გავიბერტყეთ ფქვილიდან შეთეთრებლი ტანსაცმელი, დავსხედით მავალზე და გავსწიეთ.

ამ დავიდარაბას მოვანდომეთ სრული ნახევარი საათი.

4 საათი იყო, რომ შევუდექით ანანურისაკენ. მივდიოდით სწრაფათ, რასაც ხელს უწყობდა დაღმართი. მხიარულობამ მოიცვა ექსპედიციის წევრები, როდესაც შორით გამოჩნდა ანანურის კარი—კოშკი გზის მარცხენა მხარეს. შევედით ანანურის კარში და ჩვენს თვალწინ გადაიშალა მშვენიერი სურათი ანანურისა თავის ციხით და ძველი ეკლესიით. აგერ არაგვიც. ანანურიდან იწყება მთიულეთი. ამდაგვარ ტფილისიდან არაგვის ხეობით მთიულეთამდის მოუნდით სრულ ექვს საათს. სრულიად არავის ეტყობა დაღალულობა. პირიქით გამხნევება და მხოლოდ გამხნევება სჩანს ექსპედიის წევრების სახეზე, ვინაიდან ახალ-ახალი სანახაობა, საქართველოს ერთ მშვენიერ კუთხის მრავალფეროვან სურათების ხილვა იტაცებს ყველას, იტაცებს სავსებით და გულის ფანცქალით ელიან ახალ-ახალ სურათებს, რომელსაც უქადის მათ ჯერ მთიულეთი და შემდეგ კი მოხევეთა მიდამოები თვით სტეფანწმინდამდე თვისი მყინვართ წვერით.

ხოსო ასლანიშვილი.

საუბარი გლეხთან

ახალი მეურნეობა

მეცნიერულად დამტკიცება იმისა, თუ რატომ უნდა მიწას ასე თუ ისე დამუშავება.

ცოდნის უდიდესი ფასი იმაშია, რომ იგი შეიძლება სხვასაც გადასცე.

შოპენჰაუერი.

ყველამ ვიცით, რომ მიწა უნდა მოიხნას და დამუშავდეს—დაიფარცხოს, თუ გვინდა, რომ რამე მოგვცეს, თორემ უიმისოთ არასფერს მოგვცემს, რაც უნდა კარგი და ნოყიერი მიწა იყოს. მაგრამ დამუშავებაც არის და დამუშავებაც: ზოგი ბეჯითად და გულდადებით ხნავს, ზოგი კი უგულოდ ხნავს და არც თავის დროზე. თქმა არ უნდა, რომ პირველი კარგს მოსავალს მიიღებს, მეორე კი—ცუდს.

ჩვენში გლეხები საზოგადოთ ძალიან უგულოდ ხნავენ თავიანთ მიწებსა და თავის დღეში არც ეკითხებიან თავს—თუ რატომ უნდა ასე მოხვნა და არა სხვაგვარად.

წარმოსდგება ეს იმისგან, რომ იშვიათად, თუ რომელიმე მათგანმა იცის, რისთვის და რა მიზნით ხნავენ მიწებსა ან და როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს ხვნასა და საზოგადოთ მიწის გატეხვას მოსავლისათვის.

ათჯერ და ასჯერ არის საცდელი მინდვრებისგან დამტკიცებული, რომ გლეხურად დამუშავებული მიწა იძლევა 46 ფუთს ხორბალსა დესეტინაზე, ე. ი. 23 ფუთსა დღიურზე, ხოლო მეცნიერულად დამუშავებული იძლევა ასს და ორას ფუთს დესეტინაზე, ე. ი. კარგად დამუშავება მიწისა ადიდებს მოსავალს ერთი-ორად და, ხშირად, ოთხჯერ-ხუთჯერაც...

რისთვის უნდა მიწას დამუშავება? რომ გაიგოთ ეს, უნდა იცოდეთ, რას თხოულობს მცენარე მიწისგან.

თავის გასაზრდელად მცენარე, როგორც სხვა ყოველი ცოცხალი არსება, თხოულობს საჭმელს, საზრდოს. ნაწილს ამ საზრდოსას მცენარე იღებს მიწიდან თავისი ფესვებით, ნაწილს კი—ჰაერიდან ფოთლების შემწეობით.

რისგან შესდგება მიწიდგან და ჰაერიდგან მიღებული საზრდო, ამაზე ჩვენ ქვევით ვილაპარაკებთ, ახლა კი ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ მცენარის საზრდო, რომელსაც ის მიწიდან იღებს, უთუოდ ნიადაგის წყალში უნდა იყოს გახსნილი, რადგანაც მცენარის ფესვებს ეს საზრდო მარტო წყლის შესვა-შესრუტვით შეუძლიან და ამ დროს წყალში გახსნილი მიწაც თან მიჰყვება.

ცხადზე-ცხადია, რომ რამდენათაც მეტს და ღონიერ ფესვებს გაიდგამს მცენარე სველს მიწაში, იმდენათვე მეტს და კარგს მოსავალსაც მოგვცემს იგი, რადგანაც მეტს საზრდოს მიიღებს მიწიდან, მეტს მიწით შეზავებულ წყალს შეისრუტავს მცენარე...

მაგრამ საქმე იმაშია, რომ მცენარე მარტო მაშინ იკეთებს კარგს ფესვებს მიწაში, როცა მიწა კარგად არის დამუშავებული და უთუოდ თავის დროზე, როცა მიწა ფაფუკია და საზრდოც საკმაოდ არის მცენარისთვის მიწაში. ცხადია აგრეთვე, რომ გაქვავებულს მიწაში, მცენარის წვნიკი ფესვები ვერას გახდებიან და ვერც რამე საზრდოს მიიღებენ ასეთ მიწიდან.

ფაფუკი და კარგად დამუშავებული მიწა კი ის არის, რომ მუხუდოს და თხილის ოდენაზე მეტი გოროხები არ იყოს ნახნავში, რადგანაც მხოლოდ ასე დამუშავებულს მიწაში შეუძლიან მცენარეს ღონივრად და კარგად გაიდგას ფესვები...

რით და როგორ დავაგროვოთ მიწაში საზრდო? ჩვენ ვსთქვით, რომ მცენარე მიწიდან იღებს საზრდოს.

გავსინჯოთ ახლა, რა ნივთიერებაა ეს საზრდო და საიდან ჩნდება ის მიწაში.

მცენარე რომ დავწვათ, მივიღებთ ნაცარს მაშასადამე, ნაცარი ყოფილა ის ნივთიერება, რომელსაც მცენარე მიწიდამ იღებს. რომ კარგად და ბეჯითად გავსინჯოთ ეს ნაცარი გამადიდებელი შუშით, დავინახავთ, რომ ის ერთიანი ნივთიერებისაგან არ შესდგება, არამედ სხვა და სხვა ნივთიერებისაგან—ქვიშისგან, თიხისაგან, კირისაგან, რკინისაგან, ტალისგან, სხვა და სხვა მარილებისგან, ნეხვისა და სხვა სიდამპლისაგან, რომლებიც მიწას შავს ფერს აძლევენ ხოლმე, ჰაერისგან, რომელიც გამჯდარია ყველა ამ ნაწილებს შორის და სხვა.

აი ყველა ეს მიწალები და ჰაერი ყოფილა მცენარის საზრდო და ყველა ამას მცენარე იღებს მიწიდამ მხოლოდ და მხოლოდ **წყალში გახსნილს** უამისოდ მცენარეს არას გზით არ შეუძლიან მათი მიღება, თუ არ წყალში ან ნამში და სისველეში გახსნილი.

ასე რომ, რაც უნდა თავზე საყრელი იყოს მიწაში მცენარის ეს საკვები მიწალები, თუ მიწაში წყალი, ნამი და სისველე არ არის, რომ ეს მიწალები გაიხსნას წყალში, ასეთი მიწა არ გამოდგება მცენარეების გასაზრდელად და მოსაყვანად!.. ყველა ზემოდ-დასახელებული მიწალები [illegible] უხვლელათა ძევს მიწაში: ესენი [illegible] ფხვიერდება, ხშირად [illegible] გან, ნიავისგან, წყლისგან, სითბო-სიცხისგან, მაგრამ ამ დაშლას და დაწვრილებას ისე არაფერი უწყობს ხელს, როგორც **მოხვნა** და, აი სწორედ ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ მიწა უთუოდ კარგად უნდა მოხნა, თუ გინდა, რომ მიწამ კარგი მოსავალი მოგცეს. ეს იმიტომ, რომ, როცა ჩვენ მიწას ვტეხავთ გუთნით და თან ვაბრუნებთ ისე, რომ ქვემო ნაწილები ზემოთ მოექცევა აქ მათ ხვდება ჰაერი, ნიავი, წყალი, სითბო-სიცივე და ესენი ხელად ჰშლიან და აფხვიერებენ მათ.

გარდა ამისა თითონ აფხვიერებულს მიწაში ადვილად ჩადის მზის სხივები, სითბო, წყალი და ჰაერი თავისი ნამით და ყველა ეს კი უთუოდ საჭიროა მიწის გასაპოხიერებლად, გამოსაცოცხლებლად. ე. ი. მიწაში ამის გამო ჩნდება მრავალზე-მრავალი წვნიკი, უხილავი ჭიები. რომლებსაც მეცნიერები **ბაქტერიებს** ეძახიან, ესენი იკვებებიან აქ იმ ნაშთებით, რომლებიც მუდამ ბლომად მოიპოვება ყოველ მიწაში.

ეს ნაშთები არის ყოფილ მცენარეთა ფოთლები თუ ღეროები—ძირები ანუ ჩამოცვივნული თესლი თუ ხილი, დახოცილი ჭია-მწერები თუ სხვა ცხოველთა ლეში, ნეხვი და სხვა.

ბაქტერიები ისე ფუსფუსებენ აქ, როგორც ჭიანჭველები თავიანთ საბუდრებში და თან ისე აწვრილებენ, რომ მიწაში მყოფ წყალში, ნამში და ჰაერში ადვილად იხსნებიან, ზავდებიან და მცენარეც ხარბად სწოწნის მათ თავისი ძაებით და ამ სახით კარგი და უხვი საზრდოს მიღებისაგან, თითონ მცენარეც კარგად იზრდება და მოსავალსაც საუკეთესოს იძლევა.

როგორც ვნახეთ წყალი ძლიერ საჭირო ყოფილა მეცენარეებისთვის. მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ ერთი ფუთი ხორბლისა და მისი ნამჯის მისაღებად, მცენარემ უნდა შეისრუტოს 400 ვედრო წყალი. იანგარიშეთ ახლა რამდენი წყალი დასჭირდება დღიური მიწის მცენარეობას, რომ ასი და მეტი ფუთი ხორბალი და ნამჯა გამოზარდოს?! აი რატომ იამება კაცს, როცა გაზაფხულზე ჟუჟუნა წვიმა დაუშვებს ხოლმე და უხვად რწყავს ველმინდორსა! იცის ყველამ, რომ ყანას ამით საზრდო შეეძინება და მოსავალიც კარგი იქნება.

ყოველი ნათქვამიდან ერთი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: გლეხმა ყოველი საშუალება უნდა იხმაროს, რომ მის მიწაში მუდამ უხვად და მოუკლებლად იყოს წყალი, ნამი და სისველე, მეტადრე ისეთს ხმელსა და მშრალს ქვეყანაში, როგორიც ბევრია ჩვენში, სადაც ზოგჯერ მთელი თვეობით წვეთი წვიმაც კი არ ჩამოვარდება ხოლმე ციდან. ერთად-ერთი საუკეთესო საშუალება კი **წყლისა და ნამის უხვად მომარაგებისათვის ჩვენს მაცხოვრებელს მიწაში არის მიწის საუკეთესოდ აფხვიერება დამუშავება და ჩვენც უთუოდ უნდა დაუზარებლად ვახრულებდეთ ამას!..**

ივ. როსტომაშვილი.

(შემდეგი იქნება).

დღეს საქართველო ისეთივე თავისუფალი და თანასწორ უფლებიანი ქვეყანაა, როგორც რუსეთი, უკრაინა და სხვა.

გარდა ამისა ჩვენში ამ მოკლე ხანში გაკეთდა ბევრი რამ, რასაც უნდა გაუწიოთ ანგარიში.

ეკონომიური მდგომარეობა დღეს არხად არაა სახარბიელო. თვით ოდესღაც მდიდარი და ძლიერი ევროპაც კი დღეს განიცდის უძლიერეს ეკონომიურ კრიზისს, მაგალ. გერმანია. ამიტომ რა გასაკვირველია, რომ საქართველო იყოს ეკონომიურად ჩამორჩენილი?

მაგრამ თუ გავატარებთ სწორ პარალელს, არც ისე ცუდათაა საქმე საქართველოში, როგორც თქვენ ფიქრობთ“.

„ეკონომიური აღორძინება ეხლა უფრო მეტი ინტენსივობით, უფრო დიდი მასშტაბით ხორციელდება, ვიდრე დემოკრატიულ საქართველოში.

ჩვენ ვფიქრობთ, თქვენ სრულიადაც არ გესაჭიროებათ ახსნა მცნების „კოლონია“. როცა კაპიტალისტური სახელმწიფო იპყრობს მეორე სუსტს სახელმწიფოს, ატარებს იქ თავის პოლიტიკას, ყვლეფს მას ეკონომიურად და პოლიტიკურად, ამას ეწოდება „კოლონიათ“ გადაქცევა. არის აქ ასეთი მდგომარეობა?

თუ თქვენ ჩვენში წითელი ჯარის ყოფნა მიგაჩნიათ საქართველოს კოლონიათ გადაქცევა, ძალიან სცდებით ეს ჯარი გუშაგობს სწორეთ საქართველოს დამოუკიდებლობას, საქართველოს ყოფილი მთავრობა ნამდვილ იმპერიალისტურ ჯარებსაც კი თხოვდა (მაგ. გერმანიის და ინგლისის ჯარებს), რომ საქართველოდან არ წასულიყვნენ და დახმარებოდნენ საქართველოს „დამოუკიდებულობის“ დაცვაში. თუ იმპერიალისტური და მართლა საოკუპაციო ჯარების აქ ყოფნა არ იყო მიჩნეული საქართველოს სუვერენიტეტის შემლახველად, რატომ მიგაჩნიათ ამ სუვერენიტეტის შემლახველად წითელი ჯარის აქ ყოფნა, რომელიც არაა აქ იმპერიალისტური განზრახვებით მოსული. მოგვეცით გარანტია, რომ საქართველოს არ მოელის ინტერვენცია და ერთ წამსაც არ გაჩერდება აქ საკავშირო წითელი არმია.

სეით დევდარიანი გვირჩევს შეუდგეთ იდეურ საქმიან ძიებას, რაც მისი აზრით, გაცილებით აჯობებს, ვიდრე ზარების რეკა კომუნისტურ პარტიაში შესასვლელად.

ჩვენ არ ვიცით რას ნიშნავს ეს საქმიანი-იდეური ძიება, რა გზისკენ გვითითებს სეით დევდარიანი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მუშათა კლასის გაერთიანება დღეს შესაძლებელია მხოლოდ მე-3 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, ვინაიდან მხოლოდ მე-3 ინტერნაციონალი აწარმოებს წმინდა კლასიურ და პროლეტარულ ბრძოლას და შორს სდგას იმ ბურჟუაზიულ კოალიციისაგან, რამაც კინაღამ დაღუპა რუსეთის რევოლიუცია და რაც საშინელ მძიმე უღლათ აწევს კისერზე დღეს გერმანიის მუშებს“.

„პასუხი“ აღნიშნავს თუ რისთვის საჭირო არის მეორე ინტერნაციონალთან შეთანხმება ბურჟუაზიულ ქვეყნებში საერთო გამოსვლებისათვის და რისთვის დაუშვებელია საბჭოთა ქვეყნებში შეთანხმება მენშევიკებთან და განაგრძობს:

„აი ამ საერთო ნიადაგზე თქვენი თანამშრომლობა ჩვენთვის დიდათ სასურველი და სასიხარულო იქნება. ჩვენ ველოდებით თქვენს წერილებს ამ იდეურ საქმიან ძიების შესახებ და დიდი სიამოვნებით დავბეჭდავთ მათ, თუ კი ეს წერილები იქნებიან ჩვენი საერთო მუშურ ოჯახის ხელის შემწყობნი, თუ არ იქმნება მათში გათიშვის შეტანის ქილო და სხვ.

ჩვენ იმედს გამოსთქვამთ, რომ თქვენ სრულიად გულწრფელად, სრულიად შეგნებულად დაადგებით იმ გზას, რომელზედაც ჩვენ ინსტიქტიურათ შევდექით, დაადგებით ამ გზას, ვინაიდან სხვა გზა ჩვენ გვაშორებს ჩვენ მიზნებს, სხვა გზა ვერ სტყვეტს ვერც საერთაშორისო და ვერც საქართველოს „წყეულ კითხვებს“ პროლეტარიატის სასარგებლოდ, სხვა გზა რეაქციის, გზა მიუღებელი“.

„ვისურვებთ, რომ ეს წამი დაჩქარებულიყოს და ჩვენი ყოფილი ამხანაგი სეითი კვლავ ჩამდგარიყოს ჩვენს რიგებში მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. და ჩვენი გულწრფელი ცდაა, რომ ამ შეხვედრისთვის ჩქარა მომზადებულიყოს მკვიდრი პირობები და ამ პირობების ძებნის დროს ჩვენში არ ჰქონდეს ისეთ შემთხვევებს, რომ მერმე არ შეგვრცხვეს ერთმანეთის შეხვედრა“.

პატივისცემით.

სრულიად საკავშირო რესპუბლიკების სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ყრილობის მომწვევი საინიციატივო ბიურო.

P. S. ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თითქო ყრილობაზე პროვინციელ დელეგატებს შუა-შუა უჯდენ პროვინციიდან ჩამოსული ჩეკისტები, რომლებიც ადევნებდნენ თვალს დელეგატების ყოფაქცევას ყრილობაზე.

ესეც არაა მართალი № არაფერს ასეთს ადგილი არ ქონია. ყრილობაზე დელეგატებისთვის მიჩენილ ადგილებზე კერძო პირების დაშვება სასტიკად იყო აკრძალული. გარდა ამისა, რომ არავითარ გაუგებრობას არ ქონდა ადგილი და დელეგატების ნებისყოფა სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალი ყოფილიყო, რეზოლიუციების მიღების დღეს დარბაზში სრულიად აიკრძალედ სტუმრების დაშვება. ყველა სტუმრები და კერძო პირები დარჩენ გარეთ და დარბაზში იჯდენ მხოლოდ დელეგატები.

რაც შეეხება ბანდიტიზმთან მენშევიკური პარტიის კავშირს, ამის შესახებ გვაქვს საკმაო საბუთები და, თუ საჭიროა, მათი გამოქვეყნებაც შეიძლება, ამ საქმეში ჩვენი ყოფილი პარტია ძალიან გასვრილია და თქვენთვის სჯობდა სიჩუმე, ვიდრე საბუთების გადმოლაგების მოთხოვნა. პარიტეტული კომიტეტის მიერ გამოყოფილი სამხედრო ცენტრი, ამ ცენტრის კავშირი ჩოლოყაშვილის და სხვა ბანდებთან—განა ეს თქვენთვის ახალი ამბავია? განა კიდევ დამტკიცება უნდა იმ ფაქტებს, რომ თვით პარიტეტული კომიტეტის და სამხედრო ცენტრი მენშევიკური პარტიის აქტიური ხელმძღვანელობით შედგა.

ჩოლოყაშვილის ერთ ბანდიტთაგანის, შ. ფავლენიშვილის დაჭერილ დოკუმენტებშიაც ხომ აშკარათ იყო ნათქვამი, რომ „საქართველოს ყოფილი მთავრობა პარიზიდან მოუწოდებს ბანდებს აქტიური გამოსვლებისკენ და აღუთქვამს ფულს და იარაღსო“?.

გარდა ამისა 1923 წ. დასაწყისში სიღნაღში მოკლეს 7 ბანდიტი. იმათი ხელმძღვანელი აღმოჩდა ძველი მენშევიკი ივ. კრაწაშვილი.

გეკითხებით: იყო თუ არა პარიტეტული კომიტეტი შედგენილი მენშევიკური ცეკას ხელმძღვანელობით? იყო თუ არა ამ კომიტეტის თავმჯდომარე კოლია ქარცივაძე, მენშევიკი, ყოფილი ამხანაგი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის? გამოყო თუ არა ამ კომიტეტმა სამხედრო ცენტრი ქონდა თუ არა ამ სამხედრო ცენტრს კავშირი შეიარაღებულ ბანდებთან? აწარმოებდა თუ არა მიწერ-მოწერას იმ ბანდებთან მუსხელოვი და სხვა წევრები სამხედრო ცენტრის? ქონდა თუ არა ადგილი ისეთ შემთხვევას, როცა სამხედრო ცენტრის ერთ-ერთმა წევრმა აცნობა ბანდებს თუ რა გზით და რომელ საათზე უნდა გაეარათ რამდენიმე ცნობილ კომუნისტებს, რომლებთაც ბანდები ჩაუსაფრდენ და აუტეხეს სროლა? ყველა ეს დოკუმენტები არის.

და რაღა დროისაა ეხლა თავის მართლება ამ საქმეში? ვინ არიან ზანდუკელი, მათითაიშვილი, ლაშქარაშვილი, ილ. ჯულელი, კასრაძე და სხვები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ბანდებს?

ვისი ხელმძღვანელობით მუშაობენ ესენი! რატომ ეს პირები დღემდე ითვლებიან მენშევიკური პარტიის წევრებათ, რატომ მათ არ გამორიცხავთ პარტიიდან, თუ ცეკა არ უჭერს მხარს ამ ბანდებს? აშკარაა თქვენ ბევრი რამ არ იცით, მაგრამ ეს მით უარესი. ალბათ, მართლაც ორიოდე ავანტიურისტი აწარმოებს დღეს მთელი პარტიის საქმეს. ეს ბანდიტები დღემდე განაგრძობენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და საშინელ დღეებს უმზადებენ მშრომელ ხალხს.

მართალია, ძალიან ძნელია პოლიტიკური პარტიისთვის ასე ღრმად ჩაფლა ტალახში. მაგრამ ეს ფაქტია და მისი უარყოფა ეხლა შეუძლებელია, ამით ვერ დავიმშვიდებთ ჩვენს პოლიტიკურ სინიდისს *).

საინიციატივო ბიურო.

---

*) „პასუხი“ გაშვებულია შემოკლებით.

რედ.

ქუთაისის საბუხჰალტერო უფლებიანი კურსები

(მისი წარსული, აწმყო და მომავალი).

ქუთაისის საბუხჰალტერო კურსები დაარსდა 1919 წელს. ამ კურსების დაარსების ინიციატივა ეკუთვნის ქუთაისის მაზრის საკრედიტო დაწესებულებების მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობას.

ხსენებული კურსების ინიციატორთა სურვილი და მიზანი იყო, რომ კავშირის წევრებს მიეღოთ ამ დარგში სპეციალური თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

კავშირის გამგეობის გადაწყვეტილება სრულიად სალი, მიზანშეწონილი და არსებულ პირობებთან შეფარდებული იყო. ამ დარგში სპეციალური საბუხჰალტერო ცოდნა კავშირის წევრების დიდ უმრავლესობას არ მოეპოვებოდა, ხოლო მოთხოვნილება და საჭიროება კი დიდი იყო.

საბუხჰალტერო კურსების პროგრამა შემუშავებული იყო კავშირის კოლეგიისა და სპეცების მიერ, რომელიც უცვლელად დაამტკიცა კავშირის წევრთა საზოგადო კრებამ.

1919 წლიდან 1920 წლამდე ამ კურსებზე მეცადინეობა მიმდინარეობდა ნორმალურად.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კურსები დროებით დაიხურა და წინანდელი კოლეგიის შემადგენლობაც დაიშალა. მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში, როდესაც ჩვენში მთავარი ყურადღება მიექცა კოოპერატივებისა და სხვა და სხვა საზოგადო ხასიათის სავაჭრო-საკომერციო, სამრეწველო დარგებს, ამან დაბადა მოთხოვნილება საბუხჰალტერო ცოდნით აღჭურვილი პირებისა.

ვინაიდან ასეთები საკმაოდ არ მოიპოვებოდენ, ამისათვის საჭირო შეიქნა საბუხჰალტერო კურსების განახლება; მისი ძველი პროგრამის გადამუშავება-განახლება და მიძინებული საქმის რეალურად ჩამოყალიბება.

1922 წლის ივლისს შესდგა საბუხჰალტერო კურსების ახალი კოლეგია, რომელიც შეუდგა განახლებული კურსების დასახულ მიზნების განხორციელებას.

კოლეგიამ მიზნად დაისახა კურსებზე მსმენელთ მიაწვდინოს, ისეთი თეორიული და პრაქტიკული საკომერციო განათლება, რომლითაც ისინი შეძლებენ კოოპერატივებში და სხვა და სხვა დაწესებულებებში ადვილად და პირნათლად შეასრულონ მოვალეობა ბუხჰალტერის, მოანგარიშის, კანტორის გამგის და სხვა.

ამ საქმის მოგვარება ერთი და ორი დღის საქმე არ იყო: პროგრამის შედგენა, მუშაობის გეგმის დასახვა, ღირსეული ლექტორების მოწვევა, კურსებისათვის ბინის შოვნა, საზოგადოების ფართე ნაწილის და განსაკუთრებით კავშირის წევრთა მოსამსახურეების დაინტერესება, ყოველივე ეს დიდს შრომას და ენერგიას მოითხოვდა. ამასთანავე ის უსახსრობა და ნივთიერად უმწეო მდგომარეობა, რომელსაც განიცდიდა ახალი კოლეგია—დიდ უხერხულობას ბადებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კოლეგიამ გადალახა ყოველგვარი დაბრკოლებანი და საქმის რეალურად განხორციელებას შეუდგა წასული წლის ნოემბერს.

საბუხჰალტერო კურსების სამეცადინო პროგრამა შესდგება ორი განყოფილებისგან: თეორიული და პრაქტიკული.

თეორიული განყოფილება ასწავლის საკომერციო საგანთა თეორიას პრაქტიკასთან შეფარდებით ხოლო პრაქტიკული განყოფილება განსაკუთრებით პრაქტიკულ ვარჯიშობას აწარმოებს.

კურსებზე მიღებისათვის შემოღებულია შემდეგი წესი: მსმენელი შეიძლება იყოს ორივე სქესის, ხნევანებით არა ნაკლებ 16 წლისა, დასრულებული უნდა ქონდეს ყოფ. გიმნაზიების ოთხი კლასი, ან უმაღლ. დაწყ. სასწავლებელი, ან სხვა რომელიმე სასწავლებელი, რომლის პროგრამა უნდა უდრიდეს გიმნაზიის 4 კლასს.

ლექციების მოსმენა შეუძლია იმ პირსაც, რომელიც საკომერციო დარგში მსახურებს, ხოლო ვისაც არა აქვს ეს მოწმობა, ის მიიღება მხოლოდ გამოცდების შემდეგ.

კურსებზე ლექციების კითხვა დაკისრებული აქვს სპეციალისტებს, რომელთა რიცხვში შედიან ქუთაისის ტეხნიკუმების ზოგიერთი მასწავლებლები და საკომერციო დაწესებულებების პასუხისმგებელი მომუშავენი.

კურსებზე მეცადინეობა სწარმოებდა ყოველდღიურად, ნაშუადღევის ხუთი საათიდან.

მიმდინარე სამოსწ. წელს კურსებზე იყო 23 მსმენელი. ზოგი სტუდენტები და ზოგიც სხვა და სხვა დარგის მოსამსახურენი: საერთოდ ყველას ქონდა ამა თუ იმ სასწავლებლის კურსის დამთავრების მოწმობა.

კურსების შემოსავლის წყარო იყო მხოლოდ სწავლის ქირა, რომელმაც სრულიად ვერ დაფარა ის ხარჯები, რაც ამ საქმის მოგვარებისათვის წარმოადგენდა აუცილებელ საჭიროებას. ეს იყო მთავარი მიზეზი იმის, რომ კურსები მიმდინარე სამოსწავლო წელს განიცდიდა ეკონომიურ სივიწროეს.

მიუხედავათ ასეთი პირობებისა, ხაზგასმით შეიძლება ითქვას რომ აღნ. ლექტორები საქმისადმი გულწრფელობას და ენერგიულობას იჩენდენ. მუშაობა მათი თითქმის უსასყიდლო იყო, მაგრამ დაწყებული საქმე ღირსეულად დააგვირგვინეს.

საბუხჰალტერო კურსების მსმენელთა გამოშვება მოხდა ივნისის შუა რიცხვებში. გამოცდებზე გარდა კოლეგიის წევრების და ლექტორებისა, დაესწრენ განყოფილების მიერ დანიშნული წარმომადგენელნი—სპეცები.

გამოცდები სწარმოებდა ზეპირად, დაწერით—ბუხჰალტერიასა და კომერც. არითმეტიკაში. 23 მსმენელებში, ერთის გარდა, კურსი დაამთავრა ყველამ.

მომავალ სამოსწავლო წელს, კოლეგიას განზრახული აქვს უფრო ფართო მაშტაბით აწარმოოს ეს ფრიად სიმპატიური და ჩვენი ცხოვრებისათვის მეტად საჭირო საქმე.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ კურსების არსებობის დამყარება მხოლოდ შემოსულ სწავლის ქირაზე, ყოვლად შეუძლებელია, მით უმეტეს რომ მომავალ წელს, სხვა და სხვა კავშირების წევრებს, განზრახული აქვთ საბუხჰალტერო კურსებზე ლექციების მოსმენა, რომლებსაც კოლეგია ვერ მოსთხოვს სწავლის ქირას იმ რაოდენობით, რომლითაც ანაზღაურებულ იქნება მომავალი ხარჯები. რომ დაწყებული საქმე არ შეფერხდეს, ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კურსების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კოლეგიას განზრახული აქვს, აღძრას შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა ქუთაისის საბუხჰალტერო კურსებს მიექცეს ყურადღება და მის ყოველმხრივ მოსაწყობად გაეწიოს მას მატერიალური დახმარება, კურსებს არა აქვს საკუთარი ბინა, ინვენტარი და საჭირო ხელსაწყობები, მათი შესაძენათ კი საჭიროა საგრძნობი თანხის დახარჯვა, რაც კურსების კოლეგიას არ მოეპოვება.

კოლეგიას იმედი აქვს, რომ ეს შუამდგომლობა უყურადღებოთ არ დარჩება და მით მას საშვალება მიეცემა დაწყებული საქმე ღირსეულათ დააბოლოვოს.

მ. კუჭავა.

ხელოვნება

ვ. ვ. ალექსი-მესხიშვილის გასტროლები

23 სექტემბრიდან დაიწყობა გასტროლები მოსკოვის სახელმწიფო თეატრების მსახიობი—ქალის ვ. ვ. ალექსი მესხიშვილისა, რომელიც არის ქალიშვილი განსვენებულ საყვარელი მსახიობის ვლ. ალექსი-მესხიშვილისა. კვირას 23 სექტემბერს წარმოდგენილი იქნება, „პარიზელი ბიჭი“ კომ. 2 მოქ. 2. „სამოთხე და ჯოჯოხეთი“ ტრაგი-კომედია 4. „სურა-პროსპერო“ მერიმესი. აგრეთვე სხვა პიესათა შორის დაიდგმება ჰაუპტმანის „დაძირული ზარი“ დრამა-ზღაპარი 5 მოქ. ოსტროვსკის „ველური ქალი“ კომ. 4 მოქ. „პარაგვაი და ურაგვაი“ (ამერიკელი მილიონერები) ამერიკული ბუფონადა 3 მოქ. და სხვა პიესები. სულ გაიმართება 8 გასტროლი.

აისიდორა დუნკანი. ხუთშაბათს, 20 სექტემბერს, სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება მხოლოდ ერთი გასტროლი საქვეყნოდ ცნობილი მოცეკვავე ქალის აისიდორა დუნკანისა, რომელიც ესტუმრა ტფილისს.

საზოგადოების საყურადღებოდ

(Lux-ის და კ. მარტვილელის წერილის გამო)

„კომუნ.“ № 214.

სრულებით არ მქონდა ხალისი პასუხის წერისა; განა პასუხად ღირს ეს ორი სიყალბით და სიცრუით აღსავსე წერილები? მაგრამ რას იზამთ, წერილები გაზ. „კომუნისტში“ იბეჭდება და უნდა უპასუხო:

1. „თამბრესტის“ განცხადება გასულია გაზ. „მწვერვალის“ № 8 და № 9 (უკანასკნელში ორი განცხადება „თამბრესტისა“ ერთად მიდიოდა).—„მწვერვალის“ № 8 „თამბრესტის“ განცხადებით ამასთანავე ვუდგენ რედაქციას *), ხოლო № 9 იხილოს "Lux"-მა პოლიგრაფიულ განყოფილებაში ქ. ბათუმში.—ფული თუ ივლისში ავიღეთ,—განცხადების გამოქვეყნების შემდეგ ავიღეთ.

2. „მორაგენტსტვოს“ განცხადება გასულია გაზ. „მწვერვალის“ №№ 1 და 7, რომელსაც ამასთანავე ვუდგენ რედაქციას *). ფული აქაც განცხადების გამოქვეყნების შემდეგ ავიღეთ! ეს თქვენ გამართლებით, თუ ჩვენ, მოქ. Lux?

ესეც არ იყოს—ჩვენ დადებული გვქონდა განსაკუთრებული პირობა „მორაგენტსტვოსთან“ იმის შესახებ, რომ მას პერიოდულად განსაზღვრული თანხა ფულისა უნდა შემოეტანა რედაქციაში და ჩვენც მთელი წლის განმავლობაში მას ყველა განცხადებათ ამ ფულის ანგარიშში დაუბეჭდავდით.—ამ ანგარიშით ჩვენ მისაღები გვაქვს „მორაგენტსტვოდან“ კიდევ 8 ჩერვონეცი, მაგრამ რაკი დროებით ჩვენი გაზეთის გამოცემა შეჩერდა (და არა დაიხურა), ჩვენც ეს ფული არ გამოგვირთმევია. საბუთები ინახება „მორაგენტსტვოს“ კანცელიარიაში იხილეთ.

3. „კრასნაია ზვეზდას“ აქვს ერთი განცხადება ჩვენს გაზეთში № 7, რომელიც ამასთან წარედგინება რედაქციას *), ხოლო 8 ლირა მისგან ჩვენ არ მიგვიღია.

თუ ეს დამტკიცდა ჩვენ ჯარიმად ვიხდით 8×8 ლირას. ამის საბუთი „კრასნაია ზვეზდას“ არ აქვს.

თუ ამ გაზეთის №№ ხსენებულ დაწესებულებათ არ აქვთ ჩაბარებული, ამაში ბრალი მედება არა მე, არამედ იმ კ. მარტვილელს (კ. ოდიშარიას) და მისს შვილს შ. ოდიშარიას, რომელნიც რედაქციას ჰყავდა ექსპედიტორებად და თავისს მოვალეობას არაკეთილსინდისიერად ასრულებდენ.

ახლა კი გადმომდგარა და სამედიატორო სასამართლოში მიწვევს შ. ოდიშარია; მედიატორებად ასახელებს ს. ყორღანიძეს და თ. სიხარულიძეს; დავიწყნია მხოლოდ ალ. ესაკია, თუ არა მაშინ „სიმართლე“ აუცილებლად კ. ოდიშარიას მხარეზე იქნებოდა.—მე ზიზღით უკუვაგდებ კ. ოდიშარიას წინადადებას სამედიატორო სასამართლოს შესახებ და Lux-ს და კ. მარტვილელსაც ვაძლევ „კასიოსთან“ ერთად ოფიციალურ სასამართლოში. მათი წერილები მიეკუთვნება „კასიოს“ საქმეს.

თ. ჩ—ნაია.

P. S. დასასრულ აქვე ვაცხადებ, რომ შ. ოდიშარიას და კ. ოდიშარიას ბევრი ანგარიში ჩემთვის სრულებით არ ჩაუბარებია; ქვითარი ერთი ახლაც შ. ოდიშარიას ხელშია და, თუ ერთი კვირის განმავლობაში დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა, სრულ ანგარიშებს არ ჩამაბარებს, მე იძულებული ვიქნები სამოქალაქო ხასიათის საჩივარი აღვძრა ოფიციალურად მათ წინააღმდეგ. საინტერესოა კ. ოდიშარია (კ. მარტვილელი) გაწერილია თუ არა სამისამართო მაგიდაში, ან სად სცხოვრობს ის, რომ კაცს შეეძლოს მისი ნახვა?

ან როდ გამოიქცა კ. ოდიშარია (კ. მარტვილელი) ბათუმიდან? ბარემ ესეც გვაუწყოს.

თ. ჩ.

1923 წ. სექტემბერი.

---

*) ხსენებული ნომრები აღნიშნული განცხადებებით წარმოდგენილია რედაქციაში და აქ ინახება.

რედ.

წერილი რედაქციის მიმართ

მწერლობაა?

გაზ. „კომუნისტში“ სამი წერილი დაიბეჭდა მოქ. კასიოს ფსევდონიმით „აფერისტობა მწერლობის იარლიკით“.—ამ წერილებმა საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვიეს.

ვინაიდან წერილებში ხშირად იხმარება გაზ. „მწვერვალის“ სახელი და კამათიც მისს გამომცემლობის გარშემო ტრიალებს, მე, როგორც რედაქტორი ხსენებული გაზეთისა, იძულებული გავხდი საპასუხო წერილი განსამარტებლად მიმეტანა „კომუნისტში“, მაგრამ იქ მასპინძლობა არ გამიწიეს, ამ გარემოებამ კი უფრო გაათამამა მოქ. კასიო და მისს ფუნდრუკსაც მიტომ არ უჩანს დასასრული „კომუნისტის“ ფურცლებზე.

უკანასკნელი მისი წერილი ამავე გაზეთის № 213 დაბეჭდილი შედევრია უტიფრობისა და მწერლობის გათახსირებისა: რა უბედურობაა, რომ კალამს შეძლებია ამდენ უმსგავსოების გადმონთხევა და ქაღალს კი მისი აღბეჭდვა—მოთმენა?! ამიტომაა რომ არ შემიძლიან დავსდუმდე და საზოგადოებას დაწვრილებით არ გავაცნო საქმის ნამდვილი ვითარება.

კასიოს ბრალდებებიდან სამი მუხლია აღსანიშნავი: I—ვითომც გაზ. „მწვერვალი“ მწერლობის იარლიკით რაღაც „ბნელ საქმეებს“ ემსახურებოდა; II—რაღაც „აფიორით“ აღებული ფულებით გამომცემლებს და თანამშრომლებს ცოლშვილებით აგარაკებში დაეწყოთ ქეიფი-ნადირობა; III—რომ „უმზეო მწვერვალში“ მხოლოდ „გაბრწყინილნი და საეჭვო პირები“ იღებდნენ მონაწილეობას; რომ თუ ვინმე „გვარიანი მწერალს“ მიეღია მონაწილეობა, ისიც ავანტიურული საშვალებით: თურმე ჟურნალ: „კანდელის“ მასალებით უხვად უსარგებლნია დავ. კასრაძეს და „მწვერვალში“ ავტორებთან „შეუთანხმებლივ“ ჰბეჭდვია.

ვიდრე ამ ბრალდებათა გაფანტვას შევუდგებოდე საჭიროდ მიმაჩნია გაზ. „მწვერვალის“ მცირეოდენი ისტორია გავაცნო მკითხველებს.

გაზ. „მწვერვალის“ გამოცემამდე ქ. ბათომში გამოდიოდა სალიტ. ორგანო „ასპიროზი“, რომელსაც სცემდა მოქ. ალ. ესაკია. „ასპიროზში“ მეც გულწრფელად მსურდა მუშაობა, მაგრამ იქ ჩემ თანამშრომლობაზე დიქტატორული რიხით უარი სთქვა ალ. ესაკიამ, ამიტომაც თვითონვე მან მასალები უკან დამიბრუნა განუხილველად, ესეც ცოტაა: იგი იმასაც კი ნანობდა, რომ რედაქტორმა თ. სიხარულიძემ მისს დაუკითხავად გაუშვა ჩემ მიერ ფრანგულით თარგმნილი ოქტავ მირბოს „განათლებული ველურები“! დაუმატეთ ისიც, რომ „ასპიროზი“ სულ ხუთიოდე ნომერი გამოვიდა და [illegible] უმოწყალოდ მაგინებდნენ, ხან როგორც [illegible] უხეირო ორატორს, [illegible] და სხ. ისიც სრულიად დაუმსახურებლივ.

მოქ. ალ. ესაკია იქამდისაც კი გაკადნიერდა, რომ საზოგადოებას ხმა მაღლივ აუწყა; მე ვერ შევასრულებ საზოგადოების წინაშე ჩემ დანაპირების შესრულებას და დ. კასრაძის მიერ ნათარგმნ ნიცშეს „ზარატუსტრას“ ვერ დავბეჭდავ, ვინაიდან თარგმანის დედანთან შედარებით დავრწმუნდი, რომ იგი არ შეესაბამება დიდებულ ფილოსოფოსის ნაწარმოებსაო“!

და ამას სწერდა ხაზგასმით „ასპიროზის“ თვალსაჩინო ადგილას. მე არ მაინტერესებს, რა ფილოსოფიური ბაგაჟითაა აღჭურვილი მოქ. ალ. ესაკია, რომ მისს ასეთ „ავტორიტეტულ“ მსჯავრისთვის საზოგადოებას ყურადღება მიექცია, არც ის ვიცი გაიგებს ოდესმე მაინც „ზარატუსტრის“ შინაარს თუ არა, ის კი მართალია, რომ ჩემი თარგმანი ესაკიას ისევე არ უნახავს, როგორც ნიცშეს მისი „დამცველი“ „ასპიროზის“ გამომცემელი.

საიდან წარმოაშვა ალ. ესაკიას ჩემდამი ასეთი სიძულვილი? რათ მიმხედრებდა „ასპიროზელებს“, რომლებთანაც მხოლოდ მეგობრული განწყობილების მეტი არა მაკავშირებდა რა? ჩემთან მსვლელობა ჰქონდა მოქ. თ. ჩ—ნაიას. ჩ—ნაია კი მას სძულს სამტრო-სასიცოცხლოდ.

მიზეზი მათი მტრობისა არ ვიცი და არც საინტერესოა საზოგადოებისათვის.—ის კი მართალია, რომ სწორედ ამის გამოისად ესაკიამ კატეგორიულ იმპერატივად წამომიყენა: ან ჩემთან, ან ჩ—ნაიასთანაო! და ამ ალტერნატივას შედეგად მოჰყვა „ასპიროზის“ არა საკადრისი პოზიცია ჩემს წინააღმდეგ.—

ცხადია, თავში რომ გცემენ, შენც ხელს შეაშველ თავდასაცავად.—და აი მეც განვიზრახე საკუთარი ორგანო გამომეშვა „მწვერვალის“ სახით. მისი გამოცემა იკისრა მოქ. თ. ჩ—ნაიამ. სამწუხაროდ „მწვერვალის“ გამოსვლისთანავე „ასპიროზის“ გამოცემა შესწყდა. მიზეზად უსახსრობას ასახელებდნენ.

იყო ეს მართალი, თუ არა არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ „ასპიროზის“ გამომცემლობას მრავლადა ჰყავდა ხელის მომწერლები, გარდა ამისა ტფილისიდან საგანგებოდ ჩამოიტანეს „სურამის ციხის“ ლენტი და ორი კვირის განმავლობაში სასტიკი კონტროლის ქვეშ ოპერის საბენეფისო ფასებში ორ-ორ ადგილას სდგამდნენ ბათომში... „ასპიროზის“ სასარგებლოდ! „ასპიროზისავე“ სახელით მთელი დასავლეთ საქართველო შემოიარეს, ლენტის გარდა დაბა სოფლებში აწყობდნენ „ვარდუას“ გასამართლებას—ყველა ამის შემდეგ „ასპიროზი“ მაინც არ განახლებულა და ჩვენც „მწვერვალის“ არც ერთ ნომერში არ გვიკადრია იარაღ დაყრილ მოწინააღმდეგისათვის სარევნში რაიმე წერილი დაგვებეჭდა, პირიქით, დავდუმდით და ჩვენს ხელოვნების გარშემო ვწერდით წერილებს.—არ ვამბობთ ამ წერილებით ვარსკვლავები ციდან ჩამოგვეკრიფოს, მაგრამ „მწვერვალმა“ თავისს ხანმოკლე არსებობაში თუ რამ სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას, ამას მომავალი დაგვანახვებს. ამას ასე არ ჰფიქრობდა ესაკია: იგი დაუღალავად მხოლოდ იმისთვის მოქმედებდა, რომ „მწვერვალი“ როგორმე ჩაექრო.—მისი წყალობით იყო, რომ არც ერთი ნომერი არ გამოგვიცია ისე, რომ რაიმე სიურპრიზთან საქმე არ გვქონოდა.—ჯერ პირადი მეგობრობით ისარგებლა პოლიტგანათლების განყ. გამგე გ. სხულუხიასთან და მას არა ერთხელ შეაჩერებინა უმიზეზოდ „მწვერვალის“ ნომრები! ვითომც გაზეთი რაღაც „ფარულ“ ზრახვებით ყოფილიყო აღჭურვილი, როგორც კონტრრევოლიუციონერთა ბანაკი, და ეს იმ დროს, როდესაც პარტკომის სააგიტაციო განყ. გამგე ხრუცკი, „ჩეკის“ წარმომადგენლები და სამხედრო ცენზორა საამისოს არას ხედავდნენ.

რა ანალოგიური მზგავსებაა „მწვერვალის“ პირველი დღეებისა და აქ მისს მოადგილე „არაგვის“ გამოცემისა! იქაც და აქაც ბრძოლა სწარმოებს, რომ გაზეთის გამოცემა შეუძლებელი გახდეს,—მაგრამ ჩვენ გვგონია აქაც ისევე გამარჯვებულები გამოვალთ, როგორც იქ ბათომში.—ეს სხვათაშორის. დავყვეთ ქვევით: „მწვერვალი“ სულ რვა ნომერი გამოვიდა, მეცხრე ნომერი ჩემ მიერ იქნა შეჩერებული, თუმცა აწყობილი იყო იგი და გამომცემლობამ იზარალა ექვსი თუმანი ოქროთი.

რაკი ნომერი ჩავარდა, შემდეგი გამოცემა გაძნელდა და ჩვენც გადავსწყვიტეთ მისი გამოცემა განგვეგრძო ტფილისში, რაზეც სათანადოთ შევთანხმდით სიტყვიერად: მე, მოქ. კ. კაბანელი და ს. გერსამია, როგორც გაზეთის უმთავრესი ხელმძღვანელნი, ხოლო ოფიციალურად, ხელწერილ ქვეშ შევთანხმდით: მე, კაბანელი და გამომცემელი რომლის ასლი წარედგინა გაზ. „ტრიბუნას“ და რასაც მოქ. კასიო თავხედურად „აშორდიას ნახელურს“ უწოდებს.

გაზ. „მწვერვალის“ რედ.

დავ. კასრაძე.

(დასასრული იქნება)

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი [illegible] [illegible] ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მმართველობის მიერ № 651 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“ სი, [illegible] ქ. № 4.